

განმარტებითი ბარათი

“აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის (შეზღუდვის) წესის შესახებ”, “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე” და “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონების პროექტების თაობაზე

1999 წლის “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის შესახებ” საქართველოს კანონის მიღება განპირობებული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიხანისა ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერითა და რატიფიცირებით. ამ პროექტის განხორციელება წარმოადგენს საქართველოსთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი სამთავრობოთაშორისო შეთანხმებისა და მასპინძელი ქვეყნის შეთანხმების თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება მიიღოს ყველა ის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას; მათ შორის, დახმარებას გაუწევს პროექტს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ექსპროპრიაციის, სავალდებულო შესყიდვის და სერვიტუტით შექმნისას.

პროექტის განხორციელებისა და კანონის მოქმედების პროცესში გამოვლინდა რამოდენიმე პრობლემა, რომლის დარეგულირებასაც ითვალისწინებს წინამდებარე კანონპროექტი.

კანონპროექტით განსაზღვრულია კანონისმიერი (იძულებითი) სერვიტუტის ცნების შემოღება. ეს მექანიზმი ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-253-ე მუხლებით გათვალისწინებულ დებულებებს და ანიჭებს ექსპროპრიატორს უფლებას შესაბამისი კომპენსაციით დატვირთოს მიწის ნაკვეთი.

პროექტში დეტალურად არის აღწერილი კომპენსაციის გამოთვლის მექანიზმები.

განვითარებულ ქვეყნებში უჩვეულოა პრეზიდენტის მიერ ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა ქონების ექსპროპრიაცია, რაც ხშირად პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს. წარმოდგენილი ცვლილებებით სასამართლოს წევრებს ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების საკითხს. გასათვალისწინებელია წარმოდგენილი ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომელიც ავალდებულებს მოსამართლეს საქმეში შესამე მხარედ ჩართოს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურა (სტრუქტურები).

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ქეთევან მახარაშვილი